შ.პ.ს "გ უ დ ა ბ ე ნ ი"

GEORGIA
"GUDABENI"
Ltd.

ქ. თბილისი ლიც. № 2690 ტ. 2951984
წინამძღვრიშვილის ქ. №37 LIC 599553441

N: 116 "16" მაისი "2012 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, კაჭარავას ქ. №58 საკადასტრო კოდით №01.11.05.011.165 გამოსაკვლევი №1 ობიექტი ესაა, ერთმანეთზე მიჯრით აშენებული ორი ერთსართულიანი შენობა. პირველი შენობის გაბარიტები (42,4X24,4) მ.. სიმაღლით H=7,02 მ; მეორე – (18,4X30,5) მ.მ. სიმაღლით H=7,2 მ

ორივე მათგანი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საძირკვლებზეა მოწყობილი, ანაკრები რკინა-ბეტონის მზა კონსტრუქციებით არის შესრულებული და მათი მზიდი კონსტრუქციის კარკასი წარმოადგენს რკინა/ბეტონის წერტილოვან საძირკვლებზე მოწყობილ (48–18) და-(48–38) მარკის (5600X400X400) მმ რკინა/ბეტონის კოლონებს, რომლებზეც დამონტაჟებულია 1БДР18-2Пда 1 БД18-2Ф1У(17960X240X1640 )მმ და +Б6-4П(5960X200X590) მმ მარკის რკინა/ბეტონის კოჭები და შექმნილია ანაკრები რკინა/ბატონის ჩარჩოების კონსტრუქციული სქემა, მას ეყრდნობა ПП7/3X6-3 (5970X2980X300) მმ მარკის რკინა/ბეტონის გადახურვის ფილები, აღნიშნულ ფილებზე კი დასხმულია ტოლისა და გუდრონის ბრტყელი სახურავი, რომელიც საკმარისად ამორტიზირებულია. შენობების გარე კედლები წარმოადგენს კოლონებზე შეკიდულ 600.12-1 1-21 (5980X1185X200 ) მმ მარკის კედლის რკინა/ბეტონის პანელებს. პანელებიც ისევე როგორც სახურავი, ნაწილობრივ დაზიანებულია და ფასადებიც შელახულ შთაბეჭდილებას ქმნის. კარ - ფანჯრები ლითონისაა, მყარია, მაგრამ სასურველია მისი თანამედროვე მასალით განახლება.

გამოსაკვლევი ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები-ვიზუალურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, არ შეინიშნება დეფორმაციის, სიმტკიცის, საიმედოობისა და მდგრადობის დაკარგვის რაიმე მახასიათებელი სიმპტომები.

ამდენად რკინა/ბეტონის გარე საკედლე პანელების და სახურავის ტიპის შეცვლა, ამის გამო მზიდ კონსტრუქციებზე დატვირთვების ნაწილობრივ გაზრდა, შიდა გადაგეგმარება ან რაიმე სხვა სახის არქიტექტურულ-კონსტრუქციული და ტექნოლოგიური გადაწყვეტა არსებით გავლენას ვერ მოახდენს ქ. თბილისში, კაჭარავას ქ. №58 სარეკონსტრუქციო ნაგებობების ფიზიკურ მდგომარეობაზე და საპროექტო გადაწყვეტების დაცვის შემთხვევაში ისინი დააკმაყოფილებენ სიმტკიცის, მდგრადობისა და საიმედოობის ნორმატიულ მოთხოვნებს.

დირექტორი ელენე დანელიშვილი